საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/5508
01/06/2020

5508-2-03-2-202006011744

ა(ა)იპ ,,ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა
და ძეგლთა დაცვის სააგენტოს" უფროსს
ქალბატონ **რუსუდან ჩინჩალაძეს**

ასლი: შ.პ.ს. "ბორანი"-ს დირექტორს
ბატონ **ამირან ჩხიკვაძეს**

ასლი: სს „EGIS INTERNATIONAL“-ს

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ითვალისწინებს რა ა(ა)იპ „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო“-ს №11-022013814 17.05.2020წ. მიმართვას არ არის წინააღმდეგი ვახტანგ ცაგარელმა საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობის ფარგლებში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-14) ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი - ბენარა საავტომობილო გზის ქალაქ ქუთაისის კმ1+300 მ მონაკვეთზე, განახორციელოს საუნივერსიტეტო კომპლექსთან მისასვლელი გზის მიერთების მოწყობა წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. მისასვლელი გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში აკრძალულია (შ-14) საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე და გვერდულზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა და სხვა, ასევე ავტოტრანსპორტის დგომა.

2. ობიექტის მეპატრონე ვალდებულია საუნივერსიტეტო კომპლექსის მისასვლელი გზის მიერთების ფარგლებში, თავისი ძალებითა და სახსრებით უზრუნველყოს წყალმომცილებელი საშუალებების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვა.

3. ზემოთ აღნიშნულ ადგილზე საგზაო მიერთების მშენებლობის საკითხი უნდა შეთანხმდეს შსს-ს შესაბამის რეგიონალურ ქვედანაყოფთან.

3. საავტომობილო გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, მისასვლელი გზის მიერთების დემონტაჟი მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ზემოთ ჩამოთვლილი პირობები (საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასვლელის მოწყობის ადგილი, კმ და პკ, საგზაო ნიშნების განთავსება, მიერთების მოასფალტება და სხვა) უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში მისასვლელი გზის მოწყობასთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ გაცემული შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

5. წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მიმართოს შესაბამის უწყებებს მისასვლელი გზის მშენებლობის შეჩერების ან დემონტაჟის შესახებ.

6. სამუშაოების წარმოების პროცესში ზემოაღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესრულებაზე კონტროლი ევალება სს „EGIS INTERNATIONAL“-ს და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს. ტექნიკური პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სს „EGIS INTERNATIONAL“ ვალდებულია აცნობოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ხოლო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია გაატაროს სათანადო ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს მშენებლობა, ან გაატაროს სხვა ღონისძიებები).

7. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში მიღებისას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი ორგანოს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილი, რომლითაც დასტურდება მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში დეპარტამენტის მიერ გაცემულ ტექნიკურ პირობებთან მიმდინარე/დასრულებული მშენებლობის შესაბამისობა.

დანართი: მიერთების სქემატური ნახაზი - 4 ფურცელი
მოძრაობის ორგანიზების სქემატური ნახაზი - 8 ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ციბაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე